ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:№44. 442305950
თარიღი:28/02/2023

ქალაქ ქუთაისში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების კონკურსის გამოცხადებისა და კომისიის შექმნის შესახებ

,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების'' ქვეპროგრამის ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შესაძლებლობების განვითარების, რეალიზების, დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მიზანშეწონილია კონკურსის შედეგად შეირჩეს საუკეთესო პროექტი/პროექტები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და ,,ე.ვ“ ქვეპუნქტისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის“ შესახებ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N55 დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი, ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შესაძლებლობების განვითარების, რეალიზების, დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, საუკეთესო პროექტი/პროექტების შესარჩევად.

2. კონკურსის ორგანიზებისა და საუკეთესო პროექტების გამოვლენის მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნეს კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) თამარ დახუნდარიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე /კომისიის თავმჯდომარე/;

ბ) ვარლამ გობეჯიშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი /კომისიის თავმჯდომარის მოადგილე/;

გ) პეტრე ადამაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი;

დ) დავით ნიშნიანიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის

პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი;

ე) ვლასი გარდაფხაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე მოსამსახურე;

ვ) ვლადიმერ თორთლაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალურ საკითხთა სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

ზ) გია ბასილაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

თ) მამუკა რიჟამაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ი) დავით ჩხობაძე - ააიპ ,,იმერეთის განვითარების ცენტრის'' დირექტორი;

კ) თეონა ფურცხვანიძე - ,,ფიფლ ინ ნიდ''-ის (PIN) სოციალური პროექტების კოორდინატორი;

3. კომისიამ გამოავლინოს კონკურსზე წარმოდგენილი საუკეთესო პროექტი/ პროექტები.

4.კომისიის თავმჯდომარეს მიენიჭოს უფლებამოსილება, საკონკურსო კომისიის წევრად დამატებით მოიწვიოს პროექტის ფარგლებში დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები, პროცესის გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით, მათი საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე.

5.დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის დებულება დანართი N1-ის შესაბამისად.

/დანართი N1 თან ერთვის/.

6.დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების'' ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის პროგრამა და პირობები დანართი N2-ის შესაბამისად.

/დანართი N2 თან ერთვის/.

7. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების'' ქვეპროგრამის საკონკურსო პროექტის განაცხადის ფორმა /იურიდიული პირებისათვის/ დანართი N3-ის შესაბამისად.

/დანართი N3 თან ერთვის/.

8. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების'' ქვეპროგრამის საკონკურსო პროექტის განაცხადის ფორმა /ფიზიკური პირებისათვის/ დანართი N4-ის შესაბამისად.

/დანართი N4 თან ერთვის/.

9.დამტკიცდეს პროექტის შინაასობრივი ანგარიშის ფორმა ფიზიკური პირებისათვის დანართი N5-ის შესაბამისად.

/დანართი N5 თან ერთვის/.

10. დამტკიცდეს პროექტის შინაასობრივი ანგარიშის ფორმა იურიდიული პირებისათვის დანართი N6-ის შესაბამისად.

/დანართი N6 თან ერთვის/.

11.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციულმა სამსახურმა /პ.ადამაძე/ უზრუნველყოს კონკურსის პირობების შესახებ განცხადების გამოქვეყნება ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებებით.

12. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.

13.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძისქ. №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

14. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

იოსები ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი